

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ქოთოლაშვილი თათია

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

ფინანსური კოეფიციენტების სისტემა და მათი გამოყენება
ანალიზში შპს „იფქლის“ მაგალითზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნანა სრესელი

თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2020

ანოტაცია

მაგისტრანტი: თათია ქოთოლაშვილი

სამაგისტრო ნაშრომის სათაური: ფინანსური კოეფიციენტების სისტემა და მათი გამოყენება ანალიზში შპს „იფქლის“ მაგალითზე.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ძირითადი საკითხები, რომლებიც განხილულია ძირითადი ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით. პრაქტიკულ ნაწილში ასახულია ფინანსური ანგარიშგების თითოეული კომპონენტის მაჩვენებელთა ანალიზი.

ნაშრომის პირველ თავში მოცემულია თეორიული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების არსთან, მიზანთან და კომპონენტებთან, განმარტებულია ძირითადი ფინანსური საკითხები.

გაკეთებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი, სტრუქტურულად განხილული და დინამიკაში შეფასებულია ბუღალტრული ბალანსის თითოეული მუხლი.

ნაშრომის მეორე თავში თეორიულად განმარტებულია თუ რა არის და რას ემსახურება ფინანსური კოეფიციენტების სისტემა. პრაქტიკულ ნაწილში კი ქვეთავებად წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების თითოეული კომპონენტის მაჩვენებელთა ანალიზი და შეფასებულია ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები. ეს თავი მიძღვნილია კომპანიის საქმიანობის სტაბილურობის, მომგებიანობის, ლიკვიდურობის შეფასებისთვის.

შპს „იფქლის“ ფინანსური ანგარიშგების ანალიზისთვის საბაზისო მაჩვენებლად აღებულია 2015 წელი, ხოლო შესადარისად დინამიკაში ასახულია 2016 წლის, 2017-2018 საანგარიშგებო წლის მონაცემები.

დასკვნით ნაწილში აღწერილია შპს „იფქლის“ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პროცესში გამოვლენილი შედეგები, ასევე მაგისტრანტის მიერ გაცემულია რეკომენდაციები და ასახულია მდგომარეობის გაუმჯობესების გზები.

ნაშრომის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია ნაშრომზე მუშაობის პროცესში მაგისტრანტის მიერ გამოყენებული ლიტერატურა.

Annotation

Master: Tatia Kotolashvili

Master's Thesis: The System of Financial Coefficients and Their Use in Analysis on the Example of Ifkli Ltd.

The master's thesis presents the main issues of financial reporting analysis, which are discussed using the main financial ratios. The practical part reflects the analysis of the indicators of each component of the financial statements.

The first chapter of the paper presents theoretical issues related to the essence, purpose and components of financial reporting, explains the main financial issues.

The first chapter of the paper deals with the vertical and horizontal analysis of financial statement reporting, structurally discussed and evaluated in the dynamics of each article of the accounting balance sheet.

The second chapter of the paper theoretically explains what a system of financial ratios is and what it serves. In the practical part, the sub-chapters present the analysis of the indicators of each component of the financial statements and evaluate the main financial ratios. This chapter is dedicated to assessing the stability, profitability, and liquidity of a company's operations.

2015 has been taken as the basic indicator for the analysis of the financial statements of Ifkli Ltd., and the data for 2016, 2017-2018 reporting year are reflected in the comparison.

The final section describes the results of the analysis of the financial statements of Ifkli Ltd., as well as the recommendations issued by the Master and outlines ways to improve the situation.

The last part of the paper presents the literature used by the Master in the process of working on the paper.

შინაარსი

თავი 1.ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ძირითადი ასპექტები	11
1.1. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობა და კომპონენტები	11
1.2. შპს „იფქლის“ ფინანსური მდგომარეობის ვერტიკალური ანალიზი.....	23
1.3. შპს „იფქლის“ ფინანსური მდგომარეობის ჰორიზონტალური ანალიზი.....	33
თავი 2. შპს „იფქლის“ ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტური ანალიზი.....	38
2.1. ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის კოეფიციენტების ანალიზი	38
2.2. მომგებიანობის მაჩვენებლების ანალიზი.....	46
2.3. ფულადი ნაკადების მაჩვენებლების ანალიზი	48
2.4.საკუთარი კაპიტალის მაჩვენებლების ანალიზი.....	53
დასკვნა	55
დანართი	59
გამოყენებული ლიტერატურა	Ошибка! Закладка не определена.

შესავალი

თემის აქტუალურობა. საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისა და სწორი, რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისთვის აუცილებელია ანალიზის ჩატარება, სხვადასხვა ფინანსური მაჩვენებლების შეფასება და მათი შეფასების შემდეგ მიღებული დასკვნებისა და კვლევის შედეგების საფუძველზე, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც შემდგომ გავლენას მოახდენს საწარმოს სამეურნეო საქმიანობაზე.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს საწარმოს სამეურნეო საქმიანობა და დინამიკაში იქნას გაანალიზებული საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მომგებიანობის, ლიკვიდურობის და სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლები. კომპანიის მართვისა და სწორი მენეჯმენტისთვის აუცილებელ და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური ანალიზი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კოეფიციენტური ანალიზი.

კოეფიციენტები წარმოადგენს ისეთ სიდიდეებს, რომლებიც მიიღება ორი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების ფარდობით. მისი გამოყენებით შესაძლებლობა გვეძლევა შევადაროთ სხვადასხვა მონაცემები ერთმანეთს, განვიხილოთ დინამიკა წლების განმავლობაში ზრდის ტემპები, როგორც კომპანიის ჭრილში ასევე რომელიმე დარგის ჭრილშიც. კოეფიციენტური ანალიზით ვიკვლევთ საკვლევი ობიექტის განვითარების დონეს. ფინანსურ ანგარიშგებებში და უწყისებში მოცემულია ზოგადად კომპანიის ფინანსური სურათი, თუმცა კოეფიციენტების ანალიზის გარეშე ვერ შევაფასებთ მისი განვითარების დონეს და მდგრადობისა და სტაბილურობის დონეს. ამრიგად, ფინანსური კოეფიციენტები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ მომგებიანობისა და ეფექტიანობის ანალიზი.

ბიზნესის სფეროში გაზრდილი კონკურენციის პირობებში, კომპანიებს უწევთ ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა, ამიტომ კონკურენციულ ბრძოლაში სტაბილურობის შენარჩუნებისა და ბიზნესის სფეროში წარმატების მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ მიზეზების ძიება და ფაქტორების დადგენა, რომლებიც მის საქმიანობაზე ახდენენ გავლენას. თუ არ გვეცოდინება პრობლემის გამომწვევი მიზეზები ვერ მოვახდენთ ამ პრობლემების მოგვარებას, პრობლემის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა ანალიზი, სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტების შესწავლა და დინამიკაში მათი შეფასება. კოეფიციენტური ანალიზი გვაძლევს საშუალებას შევისწავლოთ ფინანსური მაჩვენებლების მდგომარეობა და მიღებულ შედეგების მიზეზის დადგენა. სწორედ ამითია განპირობებული თემაში აღნიშნული კვლევითი საკითხის აქტუალურობა და მნიშვნელოვნება.

მიზნები: კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის თეორიული და პრაქტიკული საკითხების განხილვა, ფარული რეზერვების აღმოჩენა და საწარმოს ახალი შესაძლებლობების გამოვლენა. კომპანიის მაგალითზე განვიხილავ კოეფიციენტური ანალიზის მეთოდებს და მის მნიშვნელობას ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზების ძიებაში. მიმოვიხილავ ფინანსური ანგარიშგების ფინანსური მაჩვენებლების ანალიზთან დაკავშირებულ ძირითად თეორიულ საკითხებს, განვიხილავ ანალიზის ძირითად მეთოდებს და დავახასიათებ მნიშვნელოვან ფინანსურ კოეფიციენტებს. იმ ძირითად ასპექტებზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც არსებითად მნიშვნელოვანია მენეჯმენტისთვის გადაწყვეტილებების მიღებისას.

ამოცანები: კომპანიის ცალკეულ მაჩვენებლებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესწავლა; კომპანიის ფინანსური შედეგების, ეკონომიკური სტაბილურობისა და მდგრადობის პროგნოზირება; მაჩვენებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე მოგების ზრდის რეზერვების გამოვლენა, შევადარებთ 2017-2018 წლების

ანალოგიურ ფინანსურ მაჩვენებლებს ერთმანეთთან, დინამიკაში მაჩვენებლების შედარება საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნები და მივიღოთ შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებები.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევა ეხება საწარმოს ფინანსური მაჩვენებლების სისტემას. კერძოდ, ქონებრივი მდგომარეობის, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის, ფინანსური მდგრადობის, მომგებიანობის, საწარმოს აქტივობის შეფასებას და ანალიზს. კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა შპს „იფქლი“. საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვა ყოველთვის იყო და იქნება გასათვალისწინებელი. დღეს, როდესაც ცდილობენ გაზარდონ კონტროლი საკვები პროდუქტის ხარისხზე, კომპანიებს სხვადასხვა მოთხოვნების გათვალისწინება უწევთ, რაც დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ამრიგად უნდა მოხდეს საწარმოს შესაძლებლობების და საბრუნავი სახსრების გამოკვლევა რათა მენეჯმენტმა სწორი ტაქტიკა შეიმუშაოს ბიზნესის განხორციელებისთვის და ამასთან, მიეცეს მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა.

კვლევის მეთოდი: ფინანსური ანალიზის ჩატარების წინა პირობას წარმოადგენს პრიორიტეტული მიმართულებების გამოყოფა, საკვლევი პრობლემების იდენტიფიცირება და ინფორმაციის დამუშავება. ამის მიღწევა კი შეუძლებელია შესაბამისი ხერხებისა და მეთოდების გარეშე. მკვლევარი ანალიზს პროცესში იყენებს იმ მეთოდიკას, რომელიც სათანადოდ დაეხმარება ანალიზის სხვადასხვა ეტაპზე. ანალიზის შედეგები კი სწორედ იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად სწორად და კვალიფიციურად არის შერჩეული კვლევის ხერხები და მეთოდები.

ზოგადად, მეთოდიკა გულისხმობს იმ ხერხებს და წესებს, რომლებიც საჭიროა რაიმე სამუშაოების განხორციელებისთვის. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდიკა თავის მხრივ მოიცავს ანალიზის ინსტრუმენტებს_ანალიზის ტექნოლოგიას და ხერხებს. მნიშვნელოვანია განისაზღვროს ანალიზის ეტაპები,

სამუშაოების ჩატარების თანმიმდევრულობა. საანალიზო სამუშაოები შეიძლება შემდეგ ეტაპებად წარმოვადგინოთ:

- ანალიზის მიზნის ფორმულირება, ამოცანების განსაზღვრა;
- სამუშაო გეგმის ჩამოყალიბება;
- მაჩვენებლების განსაზღვრა, რომელთა ანალიზიც გვჭირდება;
- საჭირო ინფორმაციის მოძიება;
- ფინანსური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი;
- საშუალო მაჩვენებელზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა, მათი გავლენის გამოთვლა;
- დასკვნების, რეკომენდაციების გაკეთება და შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა რამდენიმე ძირითადი მეთოდი, კერძოდ ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი, კოეფიციენტური ანალიზის მეთოდი, მონაცემთა შედარების მეთოდი.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა: კვლევა განხორციელდა მიმდინარე 2020 წელს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. კვლევა ჩატარებულ იქნა სხვადასხვა სამეცნიერო სახელმძღვანელოების დამუშავების და კომპანის შესახებ არსებული ფინანსური ინფორმაციის ბაზის საფუძველზე. კვლევა ძირითადად ემყარება ფინანსური მაჩვენებლების ანალიზსა და მათ დინამიკაში შესწავლას.

საინფორმაციო რესურსი და მატერიალურ ტექნიკური ბაზა: ანალიზის პროცესში მიღებული შედეგები წარმოდგენილ იქნა ცხრილების და დიაგრამების საშუალებით, რომლისთვისაც გამოვიყენე პროგრამა Microsoft Office Word Document . ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს შპს „იფქლის“ 2017-2018 წლების ფინანსური ანგარიშგება: კერძოდ, 2017-2018 წლების ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ, 2017-2018 წლების სრული შემოსავლების ანგარიშგება, 2017-

2018 წლების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, 2017-2018 წლების ფინანსური ანგარიშგების განმარტებები;

ანგარიში სამეურნეო საქმიანობის შესახებ, რომელიც შეიცავს ინფორმაციას კომპანიის სამეურნეო საქმიანობის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

თავი 1.ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ძირითადი ასპექტები

1.1. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობა და კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგება არის საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს მიერ განხორციელებული სამეურნეო საქმიანობისა და არსებული ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. მისი მომზადებისა და წარდგენის მიზანია ისეთი ფინანსური ინფორმაციის გაცნობა მომხმარებლებისათვის, რომლის ცოდნაც საჭირო და აუცილებელია, რათა მიღებულ იქნას შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებები. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების მიზანი მომხმარებლებისთვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების და მათი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, ფულადი ნაკადების მოძრაობის, მოგება-ზარალის და განმარტებითი შენიშვნების შესახებ.

ფინანსური ინფორმაციით დაინტერესებული პირები არიან მომხმარებლები. ყოველდღიურ საქმიანობაში უამრავ ადამიანს უწევს მათთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება, რათა სათანადო რეაგირება მოახდინონ ამა თუ იმ პროცესებზე, რომელსაც ყოველდღიურად ხვდებიან საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში, ამისათვის კი აუცილებელია ინფორმაციის დროული მიღება. ეს ინფორმაცია კი უნდა იყოს არსებითი და ზუსტი. აქედან გამომდინარე, მათ უნდა ჰქონდეთ წვდომა კომპანიის სააღრიცხვო ინფორმაციაზე. ეს ინფორმაცია კი თავმოყრილია კომპანიის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელთაც ჰყავთ დაინტერესებული მხარეები, მომხმარებლები განსხვავებული მიზნებით და ინტერესებით.

მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დამოკიდებულია იმ ინფორმაციაზე, რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შიდა მომხმარებლები:

- საწარმოს დამფუძნებლები, აქციონერები, რომლებიც ფლობენ საწარმოს აქტივებს_აქციონერებისთვის მნიშვნელოვანია, რომ კომპანია, რომლის აქტივების წილსაც ფლობენ იყოს მომგებიანი, გრძელვადიან პერიოდში ინარჩუნებდეს მომგებიანობის მაღალ დონეს, ვინაიდან სწორედ ამაზეა დამოკიდებული ერთი აქციის ღირებულება და ის სარგებელი რასაც აქციის ფლობით ღებულობენ;
- დირექტორები_ისინი დაინტერესებულნი არიან კომპანიის, ასე ვთქვათ , ბედით. მათთვის მნიშვნელოვანია კომპანია იყოს წარმატებული და კონკურენტუნარიანი. ფინანსური ინფორმაციის ცოდნა აუცილებელია რომ იპოვონ არსებული პრობლემები და მოძებნონ მათი გადაჭრის რაციონალური გზები;
- მენეჯერები_სახავენ სამოქმედო გეგმებს და იმისათვის რომ შეიმუშაონ სათანადო გეგმები და ამოცანები, ამისათვის საჭიროა ფლობდნენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. რათა სწორად იქნეს გამოყენებული კომპანიის რესურსები;
- კომპანიის მომუშავეები_ისინი დაინტერესებულნი არიან კომპანიას, სადაც მუშაობენ რამდენად სტაბილური და ფინანსურად მდგრადი მდგომარეობა აქვს, შეძლებს თუ არა გრძელვადიან პერიოდში თანამშრომლებისთვის კარგ სამუშაო პირობების შექმნას და მათ წახალისებას, ანაზღაურების გაზრდას და ა.შ.
- შიდა აუდიტის სამსახური_მათი მთავარი მოვალეობა კონტროლს წარმოადგენს, ამისათვის კი საჭიროა ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლების

შედარება.მაჩვენებლების დინამიკაში განხილვა და პროგნოზირება,ამიტომ მათთვის ფინანსური ინფორმაციაზე წვდომა მნიშვნელოვანია.

გარე მომხმარებლები:

- მომწოდებლები_ისინი დაინტერესებულნი არიან საწარმოს მდგომარეობით, რადგან მათი თანამშრომლობის პერიოდში არ წარმოიქმნას პრობლემები, როგორცაა მომწოდებლისგან მიღებული საქონლის საფასურის დროული გადახდა,და გრძელვადიანი სტაბილური თანამშრომლობა;
- კრედიტორები_მათთვის არსებითია კომპანიის კრედიტუნარიანობა,რამდენად გააჩნია კომპანიას შესაძლებლობა დაფაროს კონკრეტული ვალდებულება;
- მყიდველები_დაინტერესებულნი არიან საქონლის ფასებით,საქონლის ასორტიმენტითა და მოცულობით,კომპანიის შესაძლებლობებით აწარმოონ მათთვის მისაღები პროდუქცია;
- ინვესტორები_ცდილობენ განსაზღვრონ რამდენად რაციონალური იქნება ამ კომპანიაში ინვესტიციის განხორციელება,რამდენად სარგებლის მომცემი იქნება,ამიტომ აანალიზებენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას;
- მთავრობა_დაინტერესებულნი შეიძლება იყოს ამა თუ იმ დარგის განვითარებით,აკვირდებიან დარგში ფუნქციონირებადი საწარმოების საქმიანობას,ასევე მათ პასუხისმგებლობას და გადახდისუნარიანობას; აფასებენ იმ პრობლემებს, რომელიც კონკრეტულ სექტორებში ვლინდება;
- პრესა,საინფორმაციო სააგენტოები;
- სხვა_ეკონომისტები, მეცნიერები, რომლებიც სწავლობენ ეკონომიკის სხვადასხვა გამოწვევებს და სწავლობენ ბიზნესგარემოს.

ფინანსური ანგარიშგება შედგება რამდენიმე შემადგენელი ნაწილისგან, რომლებშიც ასახულია ინფორმაცია აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი

კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი შენიშვნების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებია:

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება(ბალანსი);
- ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება;
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება;
- განმარტებითი შენიშვნები.

➤ **ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება**

ფინანსური მდგომარეობა გულისხმობს საწარმოს შესაძლებლობასა და უნარს დააფინანსოს საკუთარი სამეურნეო საქმიანობა. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა კი დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად წარმატებით ასრულებს ფინანსურ გეგმებს, რამდენად შესწევს უნარი დაფაროს ვალდებულებები და ამავდროულად მოახდინოს რეალიზაციის დონის შენარჩუნება. თუ ამ ყველაფერთან ერთად ახდენს საქმიანობის გაფართოებასაც, ეს მეტყველებს, რომ მას აქვს კარგი ფინანსური მდგომარეობა. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია თავმოყრილია ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში. ფინანსური მდგომარეობის ანალიზისას პირველ რიგში უნდა გავეცნოთ და განვიხილოთ ბუღალტრული ბალანსი, ამის შემდეგ ვაკეთებთ უფრო ღრმა ანალიზს, ბალანსის გაცნობით კი გარკვეული წარმოდგენა გვექმნება კომპანიის საქმიანობის მიმდინარეობაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითად მიზანს წარმოადგენს არსებული ფინანსური მდგომარეობის ობიექტური შეფასება და მომავალი სტრატეგიული გეგმების შემუშავება.

ბუღალტრულ ბალანსში ასახვას ჰპოვებს აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

ანალიზის მიზნით,შევისწავლოთ თუ რა სახის რესურსებს შეიძლება ფლობდეს და განაგებდეს საწარმო,საიდან,როგორ და რა რა წყაროებიდან იღებს მათ,რომლებიც საჭიროა სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის და ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

აქტივები სამეურნეო სუბიექტის ეკონომიკურ რესურსებს წარმოადგენს, რომლებიც მას გააჩნია და სამეურნეო პროცესებისთვის გამოიყენებს,მას განკარგავს და აკონტროლებს საჭიროებისამებრ. აქტივებს მიეკუთვნება: მიწა, მანქანა-დანადგარები, შენობა-ნაგებობები, მასალები, მზა პროდუქცია, ფულადი საშუალებები, მოთხოვნები, პატენტები, ლიცენზიები და სხვ.

დაფინანსების წყარო არის ბალანსის მეორე მხარე,რომელიც შედგება საკუთარი და მოზიდული კაპიტალისგან,აუცილებელია მენეჯმენტმა სწორად,რაციონალურად განსაზღვროს მათ შორის თანაფარდობა,რომელიც კომპანიის დამოუკიდებლობის ხარისხზე ახდენს გავლენას.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივები,ვალდებულებები და კაპიტალი ახასიათებს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობას.

ბალანსში გვაქვს შემდეგი ტოლობა:

აქტივები=ვალდებულებები+საკუთარი კაპიტალი

სტრუქტურულად შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

აქტივები

1. მიმდინარე აქტივები

2. გრძელვადიანი აქტივები

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

1. მიმდინარე ვალდებულებები

2. გრძელვადიანი ვალდებულებები

3. საკუთარი კაპიტალი

საწარმოს საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საწარმოს შიგნით ასევე მის გარეთ, როგორცაა დებიტორული ვალდებულებები, ფასიანი ქაღალდები, საწარმოს აქციები და ა.შ. ამით ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ კომპანიის საქმიანობაში და ეფექტიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვანია თუ სად ექნება განლაგებული საბრუნავი სახსრები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პირველ რიგში შევისწავლოთ ცვლილებები მის შემადგენლობასა და სტრუქტურაში.

➤ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თავმოყრილია სრული შემოსავლები და ხარჯები, რომელთა სხვაობის საფუძველზე მიიღება საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი. მასში აისახება ინფორმაცია როგორცაა:

- ამონაგები;
- საგადასახადო ხარჯი;
- ფინანსური ხარჯი;
- ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები;
- მიწოდების ხარჯები;
- საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავალი;
- მოგება.

შემოსავლები და ხარჯები არის როგორც საოპერაციო ასევე არასაოპერაციო.გააჩნია საქმიანობის სფეროს-თუ რა წარმოადგენს საქმიანობის ძირითად სახეს.

ამონაგები არის შემოსავალი,რომელიც მიიღება პერიოდის განმავლობაში,იგი გულისხმობს ეკონომიკური სარგებლის ზრდას.

საოპერაციო შემოსავალი არის საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი.

არასაოპერაციო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლები,იჯარიდან მიღებული შემოსავალი,როიალტი და სხვა,ანუ შემოსავალი რომლებიც არასაოპერაციო საქმიანობიდანაა მიღებული.

ხარჯი არის ფირმის ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რომელიც განპირობებულია საანგარიშგებო პერიოდში აქტივების შემცირებით ან ვალდებულებების გაზრდით, რაც გამოიხატება კაპიტალის შემცირებით,მაგრამ ეს დაკავშირებული არ არის დამფუძებლების მიერ კაპიტალის განაწილებასთან.

საოპერაციო ხარჯებს მიეკუთვნება ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები.

არასაოპერაციო ხარჯებს მიეკუთვნება ისეთი ხარჯები რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება საწარმოს ძირითად საქმიანობას,მაგალითად საპროცენტო ხარჯი.

ხაზი მინდა გავუსვა იმას,რომ საოპერაციო ან არასაოპერაციო შემოსავლების და ხარჯების გამიჯვნისას უნდა გავითვალისწინოთ კომპანიის საქმიანობის სახე.მაგალითად,საპროცენტო შემოსავალი ბანკისთვის არის საოპერაციო შემოსავალი ,ხოლო პურის მწარმოებელი კომპანიისთვის არასაოპერაციო.

აგრეთვე გამოყოფენ განსაკუთრებული სახის ხარჯებს-როგორცაა გაუთვალისწინებელი მოვლენებით გამოწვეული ზარალი,მაგალითად სტიქიური უბედურებებით გამოწვეული, რომელსაც კომპანია ასახავს განმარტებით შენიშვნებში.

➤ **ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება**

გადაწყვეტილებების მისაღებად მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა,თუ კომპანიას რა ფულადი სახსრები გააჩნია,როგორია მათი მოძრაობა,დენადობა და საიმედოობა. ეს ინფორმაცია კი შეუძლიათ მიიღონ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგებიდან,რომლის ერთ-ერთ კომპონენტს ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება წარმოადგენს.

ფულადი სახსრები აერთიანებს ნაღდ ფულს და მოთხოვნებს დეპოზიტებზე.

ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს მოკლევადიან,ლიკვიდურ ფასიან ქალაქებს,რომელთაც აქვთ უნარი სწრაფად გარდაიქმნენ ნაღდ ფულად სახსრებად.

ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების ნაკადები კი გულისხმობს მათ მოძრაობას,გასვლას და შემოდინებას,რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს საწარმოს საოპერაციო საქმიანობას,საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობას.

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები:

-ფულადი სახსრები საქონლის რეალიზაციიდან ან მომსახურების გაწევიდან;

-თანამშრომლებისთვის გადახდილი თანხები;

-მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები;

-ჰონორარები,როიალტები;

-დივიდენდები;

-პროცენტები;

-სესხები,და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა,რომლებიც დაკავშირებულია საოპერაციო საქმიანობასთან.

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები:

-ძირითადი საშუალებების,არამატერიალური აქტივების და სხვა გრძელვადიანი აქტივების ყიდვა-გაყიდვა;

-კაპიტალიზებადი დანახარჯები,რომელიც გაიწევა სამეცნიერო კვლევით სამუშაოებზე;

-ავანსად და სესხად გაცემული თანხები.

საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები მოიცავს იმ საქმიანობიდან მიღებულ/გაცემულ ფულად სახსრებს,რომლებიც დაკავშირებული არ არის არც საოპერაციო და არც საინვესტიციო საქმიანობასთან,როგორცაა:

-აქციების და ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებული სახსრები;

-სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები;

-ფინანსური იჯარით წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად გადახდილი თანხები;

-აქციების გამოსყიდვასთან დაკავშირებული ფულადი საშუალებები.

თუ საწარმოს გააჩნია უნარი განახორციელოს ინვესტიცია მიმდინარე საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრებით,ეს იმაზე მეტყველებს რომ საწარმოს გააჩნია თვითდაფინანსების უნარი და აგრეთვე თუ მას გააჩნია მოთხოვნის შესაძლებლობა სხვა სახის დაფინანსების წყაროებზე,ამას გამოხატავს მაჩვენებელი რომელსაც თავისუფალ ფულად ნაკადებს ვუწოდებთ.

თავისუფალი ფულადი ნაკადები ტოლია საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული შედეგების ჯამის.

მომხმარებლებმა აგრეთვე ანალიზისას უნდა გაითვალისწინონ რომ წმინდა ფულადი სახსრები განსხვავდება ფინანსურ შედეგში ნაჩვენები თანხისგან,ამის მიზეზებია:

- ✓ შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით,მაშინ როდესაც ფულადი ნაკადების ანგარიშგება ფორმირდება საკასო მეთოდით;
- ✓ ბუღალტრული შემოსავლების აღიარებას ყოველთვის შეიძლება თან არ ახლდეს ფულადი სახსრების მიღება;
- ✓ არსებობს გადავადებული გადასახადები,რომლებიც კომპანიამ ხარჯად კი აღიარა,მაგრამ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში არ გადაიხდება;

სწორედ იმის გამო,რომ მიღებული ფულადი სახსრები არ ემთხვევა ფინანსურ შედეგს, ფულადი ნაკადების ანალიზისას პრაქტიკაში იყენებენ ანალიზის **არაპირდაპირ მეთოდს**,რადგან ამ მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ არამართო ფულადი საშუალებების მუხლების ანალიზი,არამედ ბალანსის აქტივისა და პასივის მუხლების ანალიზი,რომელთა ცვლილებებზეცაა დამოკიდებული ფულადი ნაკადები.

პირდაპირი მეთოდის მთავარი უპირატესობა კი ისაა,რომ საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ მთლიანი ფულადი ნაკადების სიდიდე,რომელიც აერთიანებს სამივე საქმიანობიდან მიღებულ ფულად საშუალებებს.ანალიზს ვაკეთებთ სამივე

საქმიანობის ჭრილში და შეგვიძლია გამოვყოთ თუ რომელი საქმიანობა ახდენს უფრო დიდ გავლენას მათ სიდიდეზე. იგი დეტალურად ასახავს ანგარიშებზე ფულადი საშუალებების რაოდენობას დროის მიხედვით, ამრიგად იგი ოპერატიული დასკვნების გამოტანაში გვეხმარება, თუ რამდენად საკმარისია კონკრეტული დროის მომენტში არსებული ფულადი საშუალებები. თუმცა პირდაპირი მეთოდი ვერ ასახავს ფულადი საშუალებების ცვლილებებსა და ფინანსური შედეგების ურთიერთკავშირს, ამისათვის კი უპრიანია გამოვიყენოთ არაპირდაპირი მეთოდი.

➤ საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ყველა ის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ცვლილებებს საწარმოს კაპიტალში ასახულია საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. იგი ასახავს საწარმოს მესაკუთრეთა წილებში მომხდარ ცვლილებებს, იმ წმინდა აქტივების სიდიდეს, რომელიც ვალდებულებების დაფარვის შემდეგ რჩება კომპანიას.

იმისათვის, რომ გამოვთვალოთ საკუთარი კაპიტალის საბოლოო ნაშთი, საწყის ნაშთს ვუმატებთ მესაკუთრეთა შენატანებს, მოგებას და ვაკლებთ დივიდენდებს და კაპიტალიდან მფლობელების მიერ გატანილ თხეებს.

➤ განმარტებითი შენიშვნები

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელსაც იყენებს კომპანია, ასევე შეფასების მეთოდებისა და შენიშვნების შესახებ, რომლის ცოდნაც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. მასში თავმოყრილია ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგებაში ასახული ელემენტების გასაგებად.

სააღრიცხვო პოლიტიკა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული აღრიცხვის სპეციალური მეთოდები და პრინციპების ერთიანობაა.

სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები, შეფასების მეთოდები და სხვა განმარტებითი ინფორმაცია მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების წასაკითხად და გასაგებად. ასევე მასში მოცემულია წინასწარ ანგარიშგებო პერიოდის შეცდომები და ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში.

განმარტებითი შენიშვნების მთავარ მიზანს წარმოადგენს დაეხმაროს მომხმარებელს სიღრმისეულად გაიგოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია. ამიტომ მასში სრულად უნდა იყოს ასახული ის ინფორმაცია, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მაგრამ მნიშვნელოვანია მისი ცოდნა. როგორცაა:

- საწარმოს ადგილმდებარეობა და სამართლებრივი ფორმა;
- საწარმოს ძირითადი საქმიანობის სახე;
- ინფორმაცია საწარმოს ფუნქციონირებადობის შესახებ და ა.შ.

1.2. შპს „იფქლის“ ფინანსური მდგომარეობის ვერტიკალური ანალიზი
ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრაქტიკაში გამოყენებად მეთოდს მიეკუთვნება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი.

ვერტიკალური ანალიზით დგინდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ცალკეული მუხლის ხვედრითი წილი და განისაზღვრება სტრუქტურა. იგი საშუალებას გვაძლევს სტრუქტურის ცვლილების გავლენის შეფასებას საბოლოო შედეგზე.

ვერტიკალური ანალიზის ეტაპები:

- აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის მუხლების ცვლილების გამოთვლა;
- თითოეული ელემენტის ხვედრითი წილის შეფასება;
- გადახრებთან დაკავშირებული დასკვნების გაკეთება.

ვერტიკალური ანალიზის პირველი ეტაპზე ხდება ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ცვლილების დადგენა, რაც აბსოლუტური გადახრების გაანგარიშებას გულისხმობს.

ცხრილი 1.1.

მიმდინარე აქტივების ანალიზი

შპს „იფელი“

მიმდინარე აქტივები	31.12.2018 (ლარი)	31.12.2017 (ლარი)	გადახრა (ლარი)
ფულადი სახსრები	1,369,053	1,290,498	78,555
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,494,065	1,099,888	349,177
მომწოდებელზე გადახდილი ავანსი	254,563	1,989,808	(1,735,245)
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	907,168	468,876	438,292
გაცემული სესხები	3,700	0	3,700
საგადასახადო აქტივი	695,025	42,051	652,974
სხვა მიმდინარე აქტივები	300,867	212,827	88,040
სულ მიმდინარე აქტივები	5,024,441	5,103,948	(79,507)

2018 წელს მიმდინარე აქტივები მთლიანად შემცირებულია 79,507 ლარით, რაც ძირითადად განპირობებულია მომწოდებელზე გადახდილი ავანსების შემცირებით. გაზრდილია ფულადი საშუალებები 78,555 ლარით და მოთხოვნები 349,177 ლარით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების 438,292 ლარით ზრდა კი გამოწვეულია წარმოების ზრდით, ვინაიდან გაიზარდა რეალიზაციის მოცულობა და მარაგების გაზრდა ამის საპასუხო რეაქციაა. გაზრდილია გაცემული სესხები და სხვა მიმდინარე აქტივები შესაბამისად 3,700 ლარით და 88,040 ლარით.

ცხრილი 1.2.

გრძელვადიანი აქტივების ანალიზი

შპს „იფქლი“

გრძელვადიანი აქტივები	31.12.2018	31.12.2017	გადახრა
საინვესტიციო ქონება	6,293,161	6,363,040	(69,879)
ძირითადი საშუალებები	11,495,572	7,552,009	3,943,563
არამატერიალური აქტივები	33,639	33,639	0
გადავადებული საგადასახადო აქტივი	339,781	339,781	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	18,162,153	14,288,469	3,873,684
სულ აქტივები	23,186,594	19,392,417	3,794,177

2018 წლის ბოლოს მდგომარეობით სულ გრძელვადიანი აქტივები გაზრდილია 3,873,684 ლარით. გრძელვადიანი აქტივების ზრდაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ძირითადი საშუალებების ზრდამ 3,943,563 ლარით. ცვლილება არ მომხდარა არამატერიალური და გადავადებული საგადასახადო აქტივების ღირებულებაში. ხოლო საინვესტიციო ქონება შემცირებულია სულ 69,879 ლარით, რაც დადებითი არ არის, მიუხედავად ამისა, საერთო ჯამურ მდგომარეობას თუ გადავხედავთ კომპანიის აქტივები 2018 წლის ბოლოს სულ გაზრდილია 3,794,177 ლარით (23,186,594-19,392,417).

ცხრილი 1.3

მიმდინარე ვალდებულებების ანალიზი

შპს „იფქლი“

მიმდინარე ვალდებულებების ცვლილება	31.12.2018 (ლარი)	31.12.2017 (ლარი)	გადახრა (ლარი)

სავაჭრო ვალდებულებები	1,306,821	385,445	921,376
მიღებული ავანსები	800	300	500
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	281,056	44,167	236,889
გადასახდელი ხელფასები	67,484	57,996	9,488
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,656,161	487,908	1,168,253

მიმდინარე ვალდებულებები გაზდილია 1,168,253 ლარით, მიმდინარე ვალდებულებების არცერთ ელემენტში შემცირება არ აღინიშნება, გაზრდილია სავაჭრო 921,376 ლარით, საგადასახადო 236,889 ლარით და ასევე თანამშრომლების მიმართ წარმოქმნილი ვალდებულებები 9,488 ლარით. ვალდებულებების ასეთი ზრდა კი შეიძლება გამოწვეული იყოს წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის გაზრდით.

ცხრილი 1.4

გრძელვადიანი ვალდებულებების ანალიზი

შპს „იფელი“

გრძელვადიანი ვალდებულებების ცვლილება	31.12.2018 (ლარი)	31.12.2017 (ლარი)	გადახრა (ლარი)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	85,000	51,000	34,000
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2,024,978	21,86,436	(161,458)
სულ გრძელვადიანი ვალდებულება	2,109,978	2,237,436	(127,458)
სულ ვალდებულება	3,766,139	2,725,344	1,040,795

სულ გრძელვადიანი ვალდებულება 2018 წლის ბოლოს შემცირებულია 127,458 ლარით, რაც ძირითადად განპირობებულია სასესხო ვალდებულებების შემცირებით, ეს დადებითად აისახება კომპანიაზე. ხოლო ფინანსური ვალდებულებები გაზრდილია 34,000 ლარით.

სულ ჯამურად რომ შევაფასოთ სულ ვალდებულებები 2017 წლის ბოლოს შეადგენდა 2,725,344 ლარს, 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კი 3,766,139 ლარს, ანუ გაზრდილია 1,040,795 ლარით.

ცხრილი 1.5

საკუთარი კაპიტალის ანალიზი

შპს „იფქლი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილება	31.12.2018 (ლარი)	31.12.2017 (ლარი)	გადახრა (ლარი)
სააქციო კაპიტალი	4,153,565	4,153,565	0
გაუნაწილებელი მოგება	15,031,087	12,277,705	2,753,382
სხვა რეზერვები	235,803	235,803	0
სულ კაპიტალი	19,420,455	16,667,073	2,753,382

2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის კაპიტალი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 2,753,382 ლარით, რაც გამოწვეული არ არის მესაკუთრეების მიერ დამატებით შენატანებთან, არც სააქციო კაპიტალში და რეზერვებში ცვლილება არ მომხდარა, საკუთარი კაპიტალი გაიზარდა მთლიანად გაუნაწილებელი მოგების ზრდით.

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების მუხლების გადახრების განსაზღვრა არასაკმარისია, ამიტომ უნდა ჩატარდეს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების ანუ ბალანსის სტრუქტურის ზოგადი ანალიზი და დადგინდეს, როგორია თითოეული ელემენტის ხვედრი წილის ცვლილება და მისი გავლენა საერთო მაჩვენებელზე.

ცხრილი 1.6

შპს „იფელის“ ბუღალტრული ბალანსის ზოგადი სტრუქტურა

მაჩვენებლები	2018 წ	ხვ.წ-ის %	2017 წ	ხვ.წ-ის %	გადახრა %
მიმდინარე აქტივები	5,024,441	21.78%	5,103,948	26.32%	(4.65)
გრძელვადიანი აქტივები	18,162,153	78.33%	14,288,469	73.68%	4.65
სულ აქტივები	23,186,594	100%	19,392,417	100%	
სულ ვალდებულება	3,766,139	16.2%	2,725,344	14%	2.2
საკუთარი კაპიტალი	19,420,455	83.8%	16,667,073	86%	(2.2)
სულ დაფინანსების წყარო	23,186,594	100%	19,392,417	100%	

მთლიანი აქტივების სტრუქტურის ანალიზმა აჩვენა, რომ 2018 წელს მთლიან აქტივებში გრძელვადიანი აქტივების ხვედრმა წილმა 78,33 %-ი შეადგინა, ხოლო მიმდინარე აქტივებისამ კი- 21,78 %-ი. 2017 წელს ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად ტოლი იყო 73,68 % და 26,32 % -ისა. გაუმჯობესებულია გრძელვადიანი აქტივების წილი, რომელიც 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4,65 (78,33-73,68) პუნქტით აღემატება. შესაბამისად, შემცირებულია მიმდინარე აქტივების ხვედრი წილი. მნიშვნელოვანია გავანალიზოთ მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა და მათი ცვლილებები.

რაც შეეხება ვალდებულებებს და საკუთარ კაპიტალს, ვალდებულებები შემცირებულია,მათი ხვედრითი წილი 2018 წლის ბოლოს წინა წელთან შედარებით შემცირებულია 2.2%-ით,ხოლო საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი გაზრდილია შესაბამისად 2.2%-ით, რაც დადებითად აისახება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ბალანსის სტრუქტურის ზოგადი ანალიზით დგინდება ბალანსში ასახული ელემენტების ხვედრითი წილის ცვლილება, რაც არასაკმარისია იმისათვის, რომ დადგინდეს რამდენად მნიშვნელოვანია ამ ცვლილების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ მიზნებისთვის დეტალურად უნდა გაანალიზდეს თითოეული ელემენტის სტრუქტურა და მასში შემავალი მუხლების ცვლილებები.

ცხრილი 1.7

შპს „იფელის“ მიმდინარე აქტივების სტრუქტურის ანალიზი

მიმდინარე აქტივები	2018 წ (ლარი)	ხვ.წილი %	2017 წ (ლარი)	ხვ.წილი %	გადახრა (ხვ.წილი)
ფულადი სახსრები	1,369,053	27.3%	1,290,498	25.3%	2
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,494,065	29.7%	1,099,888	21.5%	8.2
მომწოდებელზე გადახდილი ავანსი	254,563	5%	1,989,808	39%	(34)
სასაქონლო მატერ.ვასეულობები	907,168	18%	468,876	9.2%	8.8
გაცემული სესხები	3,700	0.1%	0	0	0.1
საგადასახადო აქტივი	695,025	13.9%	42,051	0.8%	13.1
სხვა მიმდინარე აქტივი	300,867	6%	212,827	4.2%	1.8
სულ მიმდინარე აქტივი	5,024,441	100%	5,103,948	100%	

ცხრილი 1.8

შპს „იფქლის“ გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურის ანალიზი

გრძელვადიანი აქტივები	2018 წ (ლარი)	ხვ.წ- ის %	2017 წ (ლარი)	ხვ.წ-ის %	გადახრა (ხვ.წილი)
საინვესტიციო ქონება	6,293,161	34.6%	6,363,040	44.5%	(9.9)
ძირითადი საშუალებები	11,495,572	63.3%	7,552,009	52.9%	10.4
არამატერიალური აქტივები	33,639	0.2%	33,639	0.2%	0
გადავად. საგადასახადო აქტივი	339,781	1.9%	339,781	2.4%	(0.5)
სულ გრძელვადიანი აქტივი	18,162,153	100%	14,288,469	100%	

ცხრილი 1.9

მიმდინარე ვალდებულებების ანალიზი

შპს „იფქლი“

მიმდინარე ვალდებულებები	2018 წ (ლარი)	ხვ.წ- ის%	2017 წ (ლარი)	ხვ.წ- ის%	გადახრა (ხვ.წილი)
სავაჭრო ვალდებულებები	1,306,821	78.9%	385,445	79%	(0.1)
მიღებული ავანსები	800	0.1%	300	0.1%	0
მიმდ.საგად. ვალდებულება	281,056	17%	44,167	9%	8
გადასახდელი ხელფასები	67,484	4%	57,996	11.9%	(7.9)
სულ მიმდ.ვალდებულება	1,656,161	100%	487,908	100%	

ცხრილი 1.10

გრძელვადიანი ვალდებულებების ანალიზი

შპს „იფელი“

გრძელვადიანი ვალდებულებები	2018 წ (ლარი)	ხვ.წ-ის %	2017 წ (ლარი)	ხვ.წ-ის %	გადახრა (ხვ.წილი)
სხვა ფინანსური ვალდებულება	85,000	4%	51,000	2.3%	1.7
სხვა გრძელ.სასესხო ვალდებ.	2,024,978	96%	2,186,436	97.7%	(1.7)
სულ გრძელ.ვალდებულება	2,109,978	100%	2,237,436	100%	

ცხრილი 1.11

საკუთარი კაპიტალის ანალიზი

შპს „იფელი“

საკუთარი კაპიტალი	2018 წ (ლარი)	ხვ.წ-ის %	2017 წ (ლარი)	ხვ.წ-ის %	გადახრა (ხვ.წილი)
სააქციო კაპიტალი	4,153,565	21.4%	4,153,565	24.9%	(3.5)
გაუნაწილებელი მოგება	15,031,087	77.4%	12,277,705	73.7%	3.7
სხვა რეზერვები	235,803	1.2%	235,803	1.4%	(0.2)
სულ საკუთარი კაპიტალი	19,420,455	100%	16,667,073	100%	

საწარმოს აქტივების ანალიზისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საბრუნავი საშუალებების ანალიზი,უნდა დავადგინოთ მთლიან მოცულობაში ცალკეული ელემენტების ხვედრითი წონა,გამოვავლინოთ გადახრები და ამ გადახრების გამომწვევი მიზეზები,რათა ანალიზის შედეგების საფუძველზე მენეჯმენტმა სათანადო რეაგირება მოახდინოს და შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებები მიიღოს.

ცხრილში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ,რომ მიმდინარე აქტივებში 2018 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია ფულადი საშუალებების ხვედრითი წილი 2%-ით,ასევე გაზრდილია მოთხოვნებისა და მარაგების ხვედრითი წილი,შესაბამისად 8.2%-ითა და 8.8%-ით, რაც შესაძლოა გაზრდილი წარმოების საფუძველზე მომხდარიყო. ანგარიშზე თანხის გაზრდა,როგორც წესი, მეტყველებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებაზე, შპს „იფქლის“ შემთხვევაში ბანკის ანგარიშზე ფულადი სახსრები გაიზარდა, მიუხედავად ამისა, ცალსახად არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე საფრთხე არ შეექმნა. ვინაიდან კომპანიას თანხა უნდა ჰქონდეს იმდენი, რომ საკმარისი იყოს პირველადი ვალდებულებების დასაფარად,რადგან დიდი ხნის განმავლობაში ბანკის ანგარიშზე დიდი ოდენობის ფულადი თანხის არსებობა შეიძლება გამოწვეული იყოს საბრუნავი კაპიტალის არასწორი გამოყენებით.

აღნიშნულ პერიოდში კომპანიის მარაგების დიდი რაოდენობა შეიძლება გამოწვეული იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის უზრუნველყოფისთვის.დასკვნის გასაკეთებლად უნდა შეფასდეს ამ პერიოდში არსებული მოთხოვნა,რათა დავადგინოთ გაზრდილი მარაგი რით იყო განპირობებული,ბაზარზე არსებული მდგომარეობით,ანუ მომხმარებელთა მიერ გაზრდილი მოთხოვნით,თუ მენეჯმენტის მხრიდან რესურსების არასწორად

გადანაწილებასთან გვაქვს საქმე,ეს ყველაფერი უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს და ცალსახად დასკვნების გამოტანა არ შეიძლება.

გრძელვადიან აქტივებში გაზრდილია ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილი. ანალიზის პროცესში აგრეთვე შესწავლილი უნდა იქნეს გრძელვადიან აქტივებში წარმოდგენილი საინვესტიციო ქონება.ბასს-ს მიხედვით ინვესტიცია არის აქტივი,რომელსაც ფლობს საწარმო საკუთარი სიმდიდრის,სარგებლის გაზრდისთვის,შემოსავლების განაწილების,კაპიტალის ან სხვა სარგებლის გასადიდებლად.მნიშვნელოვანია კომპანიის მენეჯმენტმა სწორად განსაზღვრონ საინვესტიციო პორტფელი,სწორად შეარჩიონ საინვესტიციო ინსტრუმენტები. ჩემს ნაშრომში წარმოდგენილი კომპანიის შემთხვევაში საინვესტიციო ქონების ხვედრითი წილი შემცირებულია 9.9%-ით,თუმცა უნდა ჩატარდეს ღრმა ანალიზი თუ რამ განაპირობა ინვესტიციების შემცირება,ასევე შესწავლილ უნდა იქნეს საინვესტიციო პორტფელის საერთო შემოსავალი და რისკი.

1.3. შპს „იფქლის“ ფინანსური მდგომარეობის ჰორიზონტალური ანალიზი

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზის დროს შეისწავლება მისი ელემენტების ცვლილების ტენდენციები.თუ ვერტიკალური ანალიზის დროს ვსწავლობთ მათი ხვედრითი წილის ცვლილებებს და ვაკეთებთ სტრუქტურულ ანალიზს,ჰორიზონტალური ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ცვლილებებს დინამიკაში, ვაკვირდებით ბალანსის თითოეული ელემენტის ცვლილებებს წლების განმავლობაში. ჰორიზონტალური ანალიზის ეტაპებია:

- დინამიკური ცხრილების შედგენა რამდენიმე წლიანი პერიოდისთვის;

- თვალსაჩინოებისთვის დინამიკის პროცენტული ცხრილის შედგენა;
- ბალანსის მთავარი ელემენტების დინამიკური ცხრილის შედგენა მიმდინარე წლის დასაწყისთან შედარებით;
- დასკვნების და ინტერპრეტაციების გაკეთება ცხრილების მომზადების შემდეგ.

ზრდის ტემპების პროცენტული მაჩვენებლების უკეთ აღსაქმელად განვიხილოთ შემდეგი ცხრილი:

ცხრილი 1.12

შპს „იფელის“ ბუღალტრული ბალანსის დინამიკა საბაზისო წელთან შედარებით

მაჩვენებლები	საბაზისო 2015 წ	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
		%	%	%
მიმდინარე აქტივები ფულადი სახსრები	100	49	142	151
მოთხოვნები	100	122	217	295
გადახდილი ავანსი	100	43	954	122
მატერ.ფასეულობები	100	74	64	124
გაცემული სესხები	-	-	-	-
საგადასახადო აქტივი	100	57	16	263
სხვა მიმდ.აქტივი	100	134	99	141
სულ მიმდ.აქტივი	100	75	180	177
გრძელვადიანი აქტივი საინვესტიციო ქონება	100	98	4062	4017
ძირით. საშუალებები	100	99	112	170
არამატერ. აქტივი	100	100	101	101
გადავ.საგად.აქტივი	100	94	94	94

სულ გრძელ.აქტივი	100	99	195	248
სულ აქტივები	100	92	191	228
მიმდინ.ვალდებულება სავაჭრო ვალდებ.	100	49	101	343
მიღებული ავანსები	100	100	18	47
მიმდ.საგად.ვალდებ.	-	-	-	-
გადასახდელი ხელფ.	100	342	71	82
სულ მიმდ.ვალდებ.	100	101	105	356
გრძლ.ვალდებულებები სხვა ფინანს.ვალდებ.	-	-	-	-
გრძელ.სასესხ.ვალდ.	100	-	66	62
სულ გრძელ.ვალდ.	100	0.5	68	64
სულ ვალდებულება	100	13	73	101
საკუთარი კაპიტალი სააქციო კაპიტალი	100	100	549	549
გაუნაწილ. მოგება	100	146	227	278
სხვა რეზერვები	100	100	100	100
სულ საკუთ.კაპიტალ	100	139	260	304
სულ დაფინ.წყარო	100	92	191	228


ანალიზის პროცესში შედარებისთვის საბაზისო წლად ავიღეთ 2015 წელი. კომპანიის საბრუნავი საუალებების ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი დაფიქსირდა 2017 წელს, აქედან ფულადი საშუალებების და მოთხოვნების მაღალი ზრდის ტემპი აღინიშნებოდა საბაზისო წლის მომდევნო წლებში. ხოლო რაც შეეხება მატერიალურ ფასეულობებს- მარაგებს 2017 წელს მისი შემცირება ხოლო 2018 წელს მისი ზრდა დაფიქსირდა საბაზისო წელთან შედარებით. გრძელვადიანი აქტივებიდან

გაზრდილია ძირითადი საშუალებები, არამატერიალურ და საგადასახადო აქტივებში ცვლილება არ შეინიშნება. გაზრდილია მიმდინარე ვალდებულებები, გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპი 2017 წელს მკვეთრად გაიზარდა, ხოლო მომდევნო წელს მკვეთრი ცვლილება არ მომხდარა. გაზრდილია გაუნაწილებელი მოგებაც.

- ფულადი საშუალებები გაზრდილია, თუმცა უნდა დადგინდეს ადეკვატურია თუ არა მისი ასეთი ზრდა;
- მოთხოვნებიც გაზრდილია, რაც შეიძლება პრობლემაზე მეტყველებს, რომ კომპანია დროულად ვერ იბრუნებს მყიდველებიდან თანხებს;
- მიმდინარე აქტივები 2017 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა 75%-მდე;
- მიმდინარე ვალდებულებების ზრდის ტემპი 105 %-ს, მომდევნო წელს-2018 წელს კი 356 %-ს შეადგენს, რის გამოც კომპანიას მომავალში ფულის გადინებაა მოუწიოს;
- გაუნაწილებელი მოგება ყოველ წელს მაღალი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა, 2016 წელს საბაზისო წელთნ შედარებით 139 %-ით, 2017 წელს და 2018 წელს კი შესაბამისად 260 და 304%-იანი ზრდის ტემპი შეინიშნება, რაც დადებითი მოვლენა კომპანიისთვის;
- სააქციო კაპიტალი მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა 2017 წელს, რაც 549% შეადგენს, თუმცა 2018 წელს ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა, არც რეზერვების მოცულობა შეიცვალა, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთლიანად საკუთარი კაპიტალის ზრდა გაუნაწილებელი მოგების ზრდის საფუძველზე ხასიათდებოდა.

შპს „იფქლის“ ბუღალტრული ბალანსის ელემენტების ზრდის ტემპის

გრაფიკული ინტერპრეტაცია



თავი 2. შპს „იფქლის“ ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტური ანალიზი

2.1. ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის კოეფიციენტების ანალიზი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის შემდეგ, მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს კოეფიციენტური ანალიზი.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ კოეფიციენტები შესადარისი უნდა იყოს, ანუ შედარებული იყოს მიზნობრივ მაჩვენებლებთან, და წინა პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში კოეფიციენტურ ანალიზს აზრი ეკარგება და რეალურ სურათც ვერ დავინახავთ. ფინანსური კოეფიციენტების ზოგადი მიმართულება შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ: მარაგების მართვა; ლიკვიდურობა; აქტივების სტრუქტურა; კაპიტალის სტრუქტურა; მომგებიანობა; ეფექტიანობა; პროდუქტიულობა; გაყიდვები და ხარჯები; სტაბილურობა და სხვ.

კოეფიციენტები გამოყენებული უნდა იქნეს კომპანიის საჭიროებების მიხედვით, ამიტომ ისინი შეიძლება განსხვავდებოდნენ კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია შემდეგი კოეფიციენტები:

- I. ბუღალტრული ბალანსის კოეფიციენტების ანალიზი;
- II. მოგება/ზარალის ანგარიშგების კოეფიციენტების ანალიზი;
- III. ფულადი ნაკადების მაჩვენებელთა ანალიზი;
- IV. საკუთარი კაპიტალის მდგომარეობის მაჩვენებელთა ანალიზი;

- V. კომპანიის სტაბილურობის მაჩვენებელთა სისტემა
- i. ბალანსის მუხლების სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტები- ეს მაჩვენებლები განხილული და გაანალიზებულია ნაშრომის პირველ თავში;
 - ii. ლიკვიდურობის კოეფიციენტები-გვიჩვენებს რამდენად აქვს უნარი კომპანიამ არსებული და მისაღები ფულადი საშუალებებით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამისათვის ვიყენებთ ისეთ კოეფიციენტებს როგორცაა აბსოლუტური, სწრაფი და საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტები;
 - iii. ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები-მათი ანალიზი საშუალებას იძლევა შევაფასოთ კომპანია მდგრადობის რომელ ტიპს მიეკუთვნება- აბსოლუტურს, ნორმალურს, არამდგრად თუ წინაკრიზისულ მდგომარეობას;
 - iv. ფინანსური სტაბილურობის ფარდობითი მაჩვენებლები-როგორცაა მაგალითად, საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტები;

ლიკვიდურობა გულისხმობს საწარმოს შესაძლებლობას დაფაროს საკუთარი ვალდებულებები ფულად ფორმაში, ანუ ეს არის აქტივის უნარი სწრაფად გადაიქცეს ფულად ფორმაში. რაც უფრო ლიკვიდური აქტივია მით უფრო სწრაფად გადაიქცევა ფულად ფორმაში. ლიკვიდური აქტივები კი საწარმოს აძლევს შესაძლებლობას იყოს გადახდისუნარიანი. ამრიგად კომპანიას ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია გააჩნდეს ლიკვიდური აქტივები.

საწარმო ჩაითვლება ლიკვიდურად, თუ მისი მიმდინარე აქტივები აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს. აქედან გამომდინარე ლიკვიდურობის დონეზეა დამოკიდებული კომპანიის გადახდისუნარიანობა. გადახდისუნარიანობაში იგულისხმება საწარმოს უნარი დაფაროს საკუთარი ვალდებულებები, ეს კი დრიულად შეუძლებელია თუ მას არ გააჩნია ლიკვიდური აქტივები. მისი გადახდისუნარიანობით კი დაინტერესებულია არამარტო კომპანიის მესაკუთრეები, არამედ კრედიტორები, ინვესტორები და სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებები.

ანალიზის პროცესში, პირველ რიგში ვაფასებთ კომპანიის გადახდისუნარიანობას.

გამოვყოფთ ლიკვიდურობის შემდეგ მაჩვენებლებს:

1. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
2. შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
3. საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი შპს „იფქლის“ მონაცემების საფუძველზე:

1) აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი = ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი დაბანდებები/მიმდინარე ვალდებულებები

წლის დასაწყისი: $1,290,498/487,909=2.6$

წლის ბოლოს: $1,369,053/1,656,161=0.8$

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს ფულადი საშუალებებით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვაა შესძლებელი. პრაქტიკაში ეს მაჩვენებელი სასურველია 0,2-ს არ დაეცეს. მოცემული კომპანიის შემთხვევაში წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი შემცირდა, თუმცა მისი სიდიდე მაღალ ლიკვიდურობაზე მეტყველებს.

2) შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი = (ფულადი საშუალებები + მოკლევადიანი მოთხოვნები) / მიმდინარე ვალდებულებები

წლის დასაწყისი: $(1,290,498 + 1,099,888)/487,909=4.9$

წლის ბოლოს: $(1,369,053 + 1,494,065)/1,656,161=1.7$

შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს მიმდინარე ვალდებულებებს მიმდინარე პერიოდში მისაღები ფულადი საშუალებების რა წილი ფარავს. ეს კოეფიციენტი სასურველია იყოს შემდეგი თანაფარდობის 1,5:1. შუალედურ ლიკვიდურობის კოეფიციენტს სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტსაც

უწოდებენ, მოცემული კომპანიის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი წლის ბოლოს ერთზე მეტია, რაც ნიშნავს რომ კომპანია სწრაფი ლიკვიდურობით ხასიათდება.

3)საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები.

საერთაშორისო გამოცდილებით, სასურველია ეს კოეფიციენტი იყოს 2-3 შორის.

წლის დასაწყისი: $5,103,947/487,909=10.5$

წლის ბოლოს: $5,024,441/1,656,161=3$

კომპანია შპს „იფქლის“ შემთხვევაში წლის დასაწყისში საერთო ლიკვიდურობის მაჩვენებელი ბევრად აღემატება საერთაშორისო გამოცდილებით აღიარებულ სასურველ მაჩვენებლებს, ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპანიას გამოუყენებელი აქტივები გააჩნია, ე.წ. გაყინული აქტივის დიდი რაოდენობით ქონა კომპანიის არასწორ მენეჯმენტზე მეტყველებს, რადგან კომპანიას ზოგადად უნდა ჰქონდეს ფულადი სახსრების ის რაოდენობა რაც საჭიროა მისი მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად. წლის ბოლოს, ეს მაჩვენებელი 3-ის ტოლია, რაც სასურველი მაჩვენებელია.

უნდა აღვნიშნო, რომ საწარმოს ფინანსურ მდგრადობა არ შეიძლება ცალსახად შევაფასოთ მხოლოდ ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლებით. რადგან აღნიშნული პროცესი მეტად რთულია და მხოლოდ ეს მაჩვენებლები უშეცდომოდ შეფასების საშუალებას ვერ მოგვცემს.

მიუხედავად ამისა, პერსპექტიული გადახდისუნარიანობის შეფასებისთვის მაინც შეგვიძლია გამოვიყენოთ აღნიშნული გაანგარიშებები. შეჯამებისთვის ავსახოთ ცხრილში:

შპს იფქლის ლიკვიდურობის მაჩვენებლები

ლიკვიდურობის მაჩვენებელი	წლის დასაწისში	წლის ბოლოს	სასურველი მაჩვენებელი
აბსოლუტური	2.6	0.8	არა ნაკლები 0.2-ზე
შუალედური-სწრაფი	4.9	1.7	1.5:1
საერთო	10.5	3	2-3

შპს „იფქლის“ 2018 წლის მონაცემებზე გამოთვლილი ლიკვიდურობის მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპანიას აქვს მაღალი ლიკვიდურობის დონე. თუ საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილებას ვენდობით, წლის ბოლოს სასურველი მაჩვენებლებით ხასითდება.

ფინანსური მდგრადობის შეფასება – საწარმოს სტაბილურობის წინაპირობას წარმოადგენს მისი ფინანსური მდგრადობა, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს იყოს გადახდისუნარიანი. გადახდისუნარიანობა კი თავის მხრივ გულისხმობს კომპანიის უნარს და შესაძლებლობას დაფაროს საკუთარი ვალდებულებები. **ფინანსური მდგრადობა** – ესაა საწარმოს ფუნქციონირების სტაბილურობის მაღალი შედეგი, მდგრადობა მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიის შემოსავლები აღემატება ხარჯებს.

ფინანსური მდგრადობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ თუ რამდენად მდგრადია საწარმო და ფინანსური თვალსაზრისით რამდენად დამოუკიდებელია. ამისთვის ვიყენებთ სხვადასხვა მაჩვენებელთა სისტემას, როგორცაა:

- a. საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- b. მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- c. საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი;
- d. საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი.

განვიხილოთ თითოეული შპს „იფქლის“ მაგალითზე:

- a. $K(\text{საკ.კაპ.კონცენტრაციის}) = \text{საკუთარი კაპიტალი} / \text{ბალანსის აქტივების ჯამი}$
 $\text{წლის დასაწყისში: } 16,667,073 \text{ლარი} / 19,392,417 \text{ლარი} = 0.86$
 $\text{წლის ბოლოს: } 19,420,455 / 23,186,594 = 0.84$

იგი გვიჩვენებს რა ნაწილი უკავია საკუთარ კაპიტალს მთლიან აქტივებში, ამის საფუძველზე ვიგებთ ქონების რა ნაწილი აქვს კომპანიას საკუთარი კაპიტალის ხარჯზე. შპს „იფქლის“ ქონების დაახლოებით 84% შეძენილი აქვს საკუთარი კაპიტალის ხარჯზე. თუმცა იგივე მაჩვენებელი წლის დასაწყისში მეტი იყო 86%-ს შეადგენდა, აღნიშნული მაჩვენებლის შემცირება შეიძლება მომავალში ფინანსური სიძნელეების რისკის დასტური იყოს, თუმცა მოცემულ კომპანიას საკმაოდ კარგი მაჩვენებელი გააჩნია, ვინაიდან ქონების დიდი ნაწილი საკუთარი კაპიტალის ხარჯზე აქვს შეძენილი.

- b. $K(\text{მოზიდული კაპ.კონცენტრ.}) = \text{ვალდებულებები} / \text{ბალანსის აქტივების ჯამი}$
 $\text{წლის დასაწყისში: } 2,725,344 / 19,392,417 = 0.14$
 $\text{წლის ბოლოს: } 3,766,139 / 23,186,594 = 0.16$

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ახასიათებს ნასესხები კაპიტალის ხვედრით წონას მთლიან აქტივებში და გვიჩვენებს თუ რა ნაწილია მოზიდული ერთი ლარის აქტივის შეძენისთვის. ეს მაჩვენებელი შპს „იფქლის“ წლის ბოლოს გაზრდილი აქვს 2 %-ით. დადებითი მდგომარეობაა, რადგან კომპანიას ქონების მხოლოდ 16% აქვს შეძენილი მოზიდული სახსრებით.

c. $K = \text{საკუთარი კაპიტალი} / \text{მოზიდულ კაპიტალი}$

წლის დასაწყისში: $16,667,073 / 2,725,344 = 6.12$

წლის ბოლოს: $19,420,455 / 3,766,139 = 5.16$

მოცემული კოეფიციენტი გამოიყენება ფინანსური მდგრადობის ზოგადი დახასიათებისთვის, ამ შემთხვევაში კოეფიციენტი ერთზე მეტია, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთარი კაპიტალი აღემატება მოზიდულ კაპიტალს, ეს მეტველებს საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე.

d. $K(\text{საკ.კაპიტ.მანევრი}) = \text{საკუთარი საბრუნავი კაპიტალი} / \text{საკუთარი კაპიტალი}$

წლის დასაწყისში: $5,103,948 / 16,667,073 = 0.31$

წლის ბოლოს: $5,024,441 / 19,420,455 = 0.26$

მანევრირების კოეფიციენტი გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშუალებებში, ხოლო დანარჩენი კაპიტალიზებულია. მოცემულ კომპანიას საკუთარი კაპიტალის მცირე ნაწილი 31% დაბანდებული აქვს საბრუნავ საშუალებებში, წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი 31%-დან 26%-მდე შემცირდა რაც მეტველებს, რომ კომპანია ახდენს საკუთარი კაპიტალის დიდი ნაწილის კაპიტალიზებას, წლის ბოლოს კიდევ უფრო ნაკლები ნაწილი დააბანდა საკუთარ საბრუნავ საშუალებებში.

ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე გამოიყოფა მდგრადობის შემდეგი ტიპები:

1. **აბსოლუტური მდგრადობა**-ამ შემთხვევაში მარაგები და წინასწარ გაწეული ხარჯები ნაკლები აქვს საკუთარ საბრუნავ საშუალებებსა და ბანკის კრედიტების ჯამზე;
2. **ნორმალური მდგრადობა**-გარანტირებული გადახდისუნარიანობა აქვს;
3. **არამდგრადი, წინაკრიზისული ფინანსური მდგომარეობა**-გულისხმობს საგადასახადო ბალანსის რღვევას, თუმცა ჯერ კიდევ შესაძლებელია ბალანსის აღდგენა;

4. კრიზისული ფინანსური მდგომარეობა-როდესაც საწარმო გაკოტრების პირასაა მისული.

ცხრილი 2.2

შპს „იფქლის“ ფინანსური მდგრადობის ანალიზი

მაჩვენებლები	წლის დასაწყისში(ლარი)	წლის ბოლოს(ლარი)
საკ.საბრუნავი კაპიტალიCck	5,103,948	5,024,441
ბანკის კრედიტებიBk	2,186,436	2,024,978
მატერიალური საბრუნავი კაპიტალიMX	468,876	907,168

ცხრილში მოცემული მაჩვენებლების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი ანალიზი:

წლის დასაწყისში: $468,876 < 5,103,948 + 2,186,436$

წლის ბოლოს: $907,168 < 5,024,441 + 2,024,978$

$MX < Cck + Bk$

აქედან,გამომდინარე ვაკეთებთ დასკვნას,რომ კომპანიას აქვს აბსოლუტური მდგრადობის მდგომარეობა.

2.2. მომგებიანობის მაჩვენებლების ანალიზი

კომპანიის ფინანსური ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია შევავსოთ მისი საქმიანობის შედეგები, ამიტომ ყურადღებას უთმობს მენეჯმენტი კომპანიის მომგებიანობის ანალიზს. სწორედ კომპანიის მომგებიანობაზეა დამოკიდებული მისი კრედიტუნარიანობა, გადახდისუნარიანობა და სტაბილურობის მდგომარეობის შენარჩუნება. მომგებიანობის დონის შენარჩუნება აუცილებელია საბაზრო ეკონომიკისა და საწარმოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის, მოგების სისტემატური ნაკლებობა და მისი დინამიკის არადადამაკმაყოფილებლობა მეტყველებს ბიზნესის არაეფექტურობაზე და არასწორ რისკმენეჯმენტზე, რაც შეიძლება გაკოტრების ერთ-ერთ მიზეზად იქცეს.

კომპანიის მომგებიანობა არამარტო მისი მესაკუთრეების, არამედ საზოგადოების მრავალი წევრის ინტერესებშიც შედის. მეწარმე უნდა ეცადოს რაც შეიძლება რაციონალურად გამოიყენოს მის ხელთარსებული რესურსები, რათა მიიღოს მოგება და მისი კომპანიამ მიაღწიოს მომგებიანობის მნიშვნელოვან დონეს.

შპს „იფქლის“ მაგალითზე განვიხილოთ მომგებიანობის მაჩვენებლები:

I. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები;

აქტივების მომგებიანობა=მოგება დაბეგვრამდე/აქტივების ჯამი

2017 წლის ბოლოს: $5,363,879/19,392,417=0.28$

2018 წლის ბოლოს: $3,733,868 /23,186,594=0.16$

იგი გვიჩვენებს თუ რა მოგება მიიღება ერთ ლარ აქტივზე, 2018 წლის ბოლოს აქტივების მომგებიანობა შემცირდა 12 თეთრით წინა წელთან შედარებით.

კაპიტალუკუგება=მოგება პროცენტებისა და გადასახადის გადახდამდე/

(საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდებულებები)

2017 წლის ბოლოს კაპიტალუკუგება (RCOE): $5,363,879 / (16,667,073 + 2,237,436) = 0.28$

2018 წლის ბოლოს : $3,733,868 / (19,420,455 + 2,109,978) = 0.17$

იგი გვიჩვენებს შეძენილი რესურსების მომგებიანობას. 2018 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა, ანუ 2018 წელს საკუთარი კაპიტალითა და ვალდებულებების ერთი ლარით შეძენილი რესურსების მომგებიანობა, უკუგება 17 თეთრი იყო.

II. პროდუქციის რენტაბელობის ანალიზი;

ფასნამატის კოეფიციენტი გვიჩვენებს კომპანიამ რამდენი პროცენტი მოგება მიიღო პროდუქციაზე გაწეული დანახარჯიდან.

ფასნამატი=მოგება რეალიზაციიდან/რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება*100%

მოგების მარჟა პროცენტულად გვიჩვენებს ერთი ლარის შემოსავლიდან მიღებულ მოგებას.

მოგების მარჟა=მოგება რეალიზაციიდან/შემოსავალი პროდ.რეალიზ.*100%

მოგება რეალიზაციიდან=შემოს.რეალიზაციიდან-რპთ

	2017 წელი(ლ)	2018 წელი(ლ)
შემ.რეალიზაც.	28,012,866	33,350,782
რეალ.პროდ.თვითღირ.	(12,249,233)	(15,736,799)
მოგება პროდ.რეალიზაც.	15,763,633	17,613,983
ფასნამატი	29%	12%
მოგების მარჟა	56%	53%

2017 წელს შპს „იფქლის“ პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული იქნა 56% მოგება,ეს მაჩვენებელი 2018 წელს შემცირდა 3%-ით.

კომპანიას პროდუქციაზე 2017 წელს უფრო დიდი ფასნამატი ჰქონდა ვიდრე 2018 წელს.

2.3. ფულადი ნაკადების მაჩვენებლების ანალიზი

ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია მნიშვნელოვანია როგორც შიდა მომხმარებლებისთვის-მენეჯმენტისთვის და მმართველი რგოლისთვის,ასევე საჭიროა გარე მომხმარებლებისთვისაც-ინვესტორებისა და კრედიტორებისთვის.

კომპანიის მმართველი რგოლის წარმომადგენლები მუდმივად ცდილობენ გააკონტროლონ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული და გასული ფულადი სახსრები,რათა სწორად შეიმუშაონ საჭირო ღონისძიებები და ფულის გამოყენების პოლიტიკა.რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებისთვის კი აუცილებელია ფულადი ნაკადების ანალიზი. განვიხილავთ ისეთ ძირითად მაჩვენებლებს და კოეფიციენტებს როგორცაა:

1.ფულადი ნაკადების ანგარიშგების კერძო კოეფიციენტები:

-ფულის საერთო ეფექტიანობის კოეფიციენტი;

-წმინდა ინვესტიციების დაფარვის ხარისხი;

-საერთო გადახდისუნარიანობა;

2.ფულადი ნაკადების ანგარიშგების კომბინირებული კოეფიციენტები:

- საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა;
- საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა;
- საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა.

განვიხილოთ თითოეული შპს „იფელის“ მაგალითზე:

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილია ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო,საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან გამომდინარე.

ცხრილი 2.3

შპს „იფელის“ ფულადი ნაკადების მოძრაობა საქმიანობის სახეების მიხედვით

საოპერაციო საქმიანობა	2017 წელი (ლარი)	2018 წელი (ლარი)
ფულის შემოდინება	32,211,769	38,525,389
ფულის გადინება	(25,932,136)	(34,921,496)
წმინდა ფულადი ნაკადი	6,279,633	3,603,893
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულის შემოდინება	291,185	102,213
ფულის გადინება	(7,041,057)	(2,472,099)
წმინდა ფულადი ნაკადი	(6,749,872)	(2,369,886)
საფინანსო საქმიანობა		
ფულის შემოდინება	5,753,561	1,353,635
ფულის გადინება	(4,434,386)	(2,500,912)

წმინდა ფულადი ნაკადი	1,319,175	(1,147,277)
----------------------	-----------	-------------

	2017 წელი (ლარი)	2018 წელი(ლარი)
წლის განმავლობაში ფულის შემოდინება	38,256,515	39,981,237
წლის განმავლობაში ფულის გადინება	(37,407,579)	(39,894,447)
მთლიანი წმინდა ფულადი ნაკადი	848,936	86,790

1.ფულადი ნაკადების ანგარიშგების კერძო კოეფიციენტები:

$K(\text{ფულის საერთო ეფექტიანობის კოეფიციენტი}) = \text{ფულის შემოდინება პერიოდში} / \text{ფულის გადინება პერიოდში}$.

წლის დასაწყისში: $K = 38,256,515 / 37,407,579 = 1.023$

წლის ბოლოს : $39,981,237 / 39,894,447 = 1.002$

ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი, რაც დადებითია.

წმინდა ინვესტიციების დაფარვის ხარისხი = წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან / წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან

წლის დასაწყისში: $6,279,633 / (-6,749,872) = -0.93$

წლის ბოლოს: $3,603,893 / (-2,369,886) = -1.52$

იგი ახასიათებს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულით რა ხარისხით იფარება საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი.

საერთო გადახდისუნარიანობა=(ფულის საწყისი ნაშთი+ფულის შემოდინება)/ფულის გადინება სულ)

წლის დასაწყისში: $(1,290,498+38,256,515)/37,407,579=1.057$

წლის ბოლოს: $1,369,053+39,981,237)/39,894,447=1.036$

ეს კოეფიციენტი ერთზე მეტია,რაც დადებითია კომპანიისთვის,კომპანია გადახდისუნარიანობით ხასიათდება,წლის ბოლოს უმნიშვნელოდ შემცირდა ეს მაჩვენებელი.ანუ არსებული ფულის რაოდენობა და ფულის შემოდინება ჯამურად აღემატება ფულადი სახსრების გადინებას,რაც კომპანიის გადახდისუნარიანობაზე მეტყველებს.

2.ფულადი ნაკადების ანგარიშგების კომბინირებული კოეფიციენტები:

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა=წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან/შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან

წლის დასაწყისში: $6,279,633/32,211,769=0.19$

წლის ბოლოს: $3,603,893/38,525,389=0.09$

წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან წლის ბოლოს შემცირდა დაახლოებით 74%-ით,მიუხედავად იმისა,რომ წლის ბოლოს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები მეტი იყო,წმინდა ფულადი ნაკადის შემცირება გამოწვეულია ამ პერიოდში გადინებული ფულის მოცულობის

გაზრდით, ამ პერიოდში გაზრდილი იყო მომწოდებელზე გადახდილი თანხები დაახლოებით 49 %-ით, ასევე შრომის ანაზღაურება დაახლოებით 12 %-ით.

საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა=საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი/შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან

წლის დასაწყისში: $(6,749,872)/291,185=-23$

წლის ბოლოს: $(2,369,886)/102,213=-23$

კომპანიის წლის დასაწყისშიც და წლის ბოლოსაც, საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი უარყოფითი იყო. მისი ეფექტიანობა არ შეცვლილა.

საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა: საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი/შემოსავალი საფინანსო საქმიანობიდან

წლის დასაწყისში: $1,319,175/5,753,561=0.23$

წლის ბოლოს: $(1,147,277)/1,353,635=-0.85$

კომპანიას წლის ბოლოს საფინანსო საქმიანობიდან ჰქონდა უარყოფითი წმინდა ფულადი ნაკადი, ეს განპირობებულია იმით რომ, საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი საშუალებები მცირე იყო გასულთან შედარებით.

2.4. საკუთარი კაპიტალის მაჩვენებლების ანალიზი

საკუთარი კაპიტალის მაჩვენებლები ანალიზის მიზნებისათვის შეგვიძლია დავყოთ კერძო და კომბინირებულ კოეფიციენტებად. კერძო კოეფიციენტები არ საჭიროებს რამდენიმე კომპონენტების ინფორმაციას,ესენია სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტები,რაც უკვე განხილული გვაქვს ბალანსის ანალიზისას,ახლა კი განვიხილოთ საკუთარი კაპიტალის კომბინირებული კოეფიციენტები შპს „იფქლის“ შემთხვევაში.

კომბინირებული კოეფიციენტების გამოსათვლელად ვიყენებთ რამდენიმე კომპონენტის ინფორმაციას.საკუთარი კაპიტალის კომბინირებული კოეფიციენტებია:

1.საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;

$K(\text{საკ.კაპ.კონცენტრაციის})=\text{საკუთარი კაპიტალი/ბალანსის აქტივების ჯამი}$

წლის დასაწყისში: $16,667,073\text{ლარი}/19,392,417\text{ლარი}=0.86$

წლის ბოლოს: $19,420,455/23,186,594=0.84$

იგი გვიჩვენებს რა ნაწილი უკავია საკუთარ კაპიტალს მთლიან აქტივებში,ამის საფუძველზე ვიგებთ ქონების რა ნაწილი აქვს კომპანიას საკუთარი კაპიტალის ხარჯზე. შპს“იფქლის“ ქონების დაახლოებით 84% შეძენილი აქვს საკუთარი კაპიტალის ხარჯზე.თუმცა იგივე მაჩვენებელი წლის დასაწყისში მეტი იყო 86%-ს შეადგენდა,აღნიშნული მაჩვენებლის შემცირება შეიძლება მომავალში ფინანსური სიძნელეების რისკის დასტური იყოს,თუმცა მოცემულ კომპანიას საკმაოდ კარგი მაჩვენებელი გააჩნია,ვინაიდან ქონების დიდი ნაწილი საკუთარი კაპიტალის ხარჯზე აქვს შეძენილი.

2.საკუთარი კაპიტალის ლევერიჯი=ვალდებულებები/საკუთარ კაპიტალი

საკუთარი კაპიტალის ლევერიჯი არ უნდა აღემატებოდეს ერთს, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიის ფინანსური რისკის არსებობაზე მეტველებს.

ვნახოთ,შპს „იქლის“ მდგომარეობა:

წლის დასაწყისში: $2,725,344/16,667,073=0.16$

წლის ბოლოს: $3,766,139/19,420,455=0.19$

შეგვიძლია ვთქვათ,რომ კომპანია ,მოცემულ მაჩვენებელზე დაყრდნობით,არ დგას ფინანსური რისკის საფრთხის წინაშე.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია, როგორც თეორიული საკითხები, რომლებიც ემსახურება ნაშრომის უკეთ აღქმას და გააზრებას, ასევე პრაქტიკული ნაწილი შპს „იფქლის“ 2015-2018 წლების ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე.

თეორიული ნაწილში განხილული იყო:

_ თემის აქტუალურობა და მისი მნიშვნელოვნება;

_ ფინანსური ანგარიშგების არსი, მიზანი;

_ ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები;

_ კოეფიციენტური ანალიზის არსი;

_ ძირითადი ფინანსური მაჩვენებელთა შინაარსი და მნიშვნელობა.

ანალიზის პირველ ეტაპზე ჩატარდა ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი, რომელიც კომპანიის სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლისთვის გამოვიყენე. წლის ანალოგიური მაჩვენებლები შევადარე ერთმანეთს, კერძოდ, საბაზისო წელს წარმოადგენდა 2015 წელი, ასევე შედარებულ იქნა ბოლო საანგარიშგებო წლის 2018 წლის მდგომარეობა 2017 წელთან. გამოვთვალე ბალანსის თითოეული მუხლის ცვლილება და გადახრები, შევაფასე მათი ხვედრითი წილი. ანალიზის შედეგად გამოვლინდა:

_ 2018 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა მიმდინარე აქტივები 79,507 ლარით, საერთო ჯამში კი მთლიანი აქტივები გაიზარდა— დიდი გავლენა მოახდინა ძირითადი საშუალებების ზრდამ. 2018 წ-ს გაზრდილია ფულადი საშუალებების ხვედრითი წილი 2%-ით, ასევე გაზრდილია მარაგების და მოთხოვნების წილიც— 8.8% და 8.2%-ით. რაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ განპირობებულია წარმოების მოცულობის გაზრდით, ვინაიდან ამავე პერიოდში გაზრდილია რეალიზაციის მოცულობაც.

–ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის ნაწილში,2018 წელს ვალდებულებები შემცირდა 2.2%-ით,საკუთარი კაპიტალი კი გაიზარდა 2.2%-ით,რაც დადებითი მოვლენაა.

–ჰორიზონტალური ანალიზისას გამოვლინდა,რომ საბაზისო 2018 წელთან მიმართებით,ფულადი საშუალებების და მოთხოვნების ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა 2017წელს,ასევე ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიმდინარე აქტივები.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა:

–ფინანსური კოეფიციენტები,მათი მათემატიკური ფორმულირების გამოყენებით;

–ლიკვიდურობის,სტაბილურობის და მომგებიანობის მაჩვენებლები.

–გაუნაწილებელი მოგება ყოველ წელს მაღალი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა,2016 წელს საბაზისო წელთან შედარებით 139 %-ით,2017 წელს და 2018 წელს კი შესაბამისად 260 და 304%-იანი ზრდის ტემპი შეინიშნება,რაც დადებითი მოვლენა კომპანიისთვის;

–სააქციო კაპიტალი მნიშვნელოვანიზრდის ტემპით ხასიათდებოდა 2017 წელს,რაც 549% შეადგენს,თუმცა 2018 წელს ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა,არც რეზერვების მოცულობა შეიცვალა,რის საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ,რომ მთლიანად საკუთარი კაპიტალის ზრდა გაუნაწილებელი მოგების ზრდის საფუძველზე ხასიათდებოდა.

–კომპანიის ლიკვიდურობის შესაფასებლად გამოვიყენეთ აბსულუტური,შუალედური და საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტები,რომელთა მაჩვენებლები 2018 წელს იყო: 0.8, 1.7, და 3. შპს „იფელის“ 2018 წლის მონაცემებზე გამოთვლილი ლიკვიდურობის მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ,რომ

კომპანიას აქვს მაღლი ლიკვიდურობის დონე.თუ საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილებას ვენდობით,წლის ბოლოს სასურველი მაჩვენებლებით ხასითდება.

_ მდგრადობის შესაფასებლად გამოვიყენეთ ფორმულა:

წლის ბოლოს: $907168 < 5024441 + 2024978$

$MX < Cck + Bk$

აქედან,გამომდინარე ვაკეთებთ დასკვნას,რომ კომპანიას აქვს აბსოლუტური მდგრადობის მდგომარეობა.

_ მომგებიანობის ანალიზისას გამოვლინდა:

2017 წელს შპს „იფელის“ პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული იქნა 56% მოგება,ეს მაჩვენებელი 2018 წელს შემცირდა 3%-ით.

კომპანიას პროდუქციაზე 2017 წელს უფრო დიდი ფასნამატი ჰქონდა ვიდრე 2018 წელს.

კომპანიის საქმიანობას მთლიანად თუ შევაფასებთ,შეგვიძლია ვთქვათ,რომ ნორმალურად ფუნქციონირებს და სერიოზული ფინანსური რისკის და პრობლემების ქვეშ არ დგას.

რეკომენდაციები:

- ფინანსური მდგომარეობის და მდგრადობის გაუმჯობესება უნდა მოხდეს ეტაპობრივად. პირველ რიგში უნდა აღვადგინოთ გადახდისუნარიანობა , უნდა გაუმჯობესდეს ფინანსური მდგრადობა, ეს მიიღწევა, თუ მოხმარებული ფინანსური რესურსები არ აღმოჩნდება გენერირებულ რაოდენობაზე მეტი.

ბოლოს კი როცა მოვახერხებთ საქმიანობის წარმატებულობას აღდგება ფინანსური მდგომარეობაც, და მიიღწევა ფინანსური სტაბილიზაცია.

- სიღრმისეულად უნდა იქნეს შესწავლილი ფულადი სახსრების ხვედრითი წილის ზრდის მიზეზები, თუ რა მიზნითაა განპირობებული მისი ზრდა, ვინაიდან მისი არაადეკვატური მოცულობა შესაძლოა საბრუნავი კაპიტალის არასწორ გამოყენებაზე მეტყველებდეს;
- შეისწავლონ მარაგების ზრდის მიზეზები, გაზრდილი მარაგი რით იყო განპირობებული, ბაზარზე არსებული მდგომარეობით, ანუ მომხმარებელთა მიერ გაზრდილი მოთხოვნით, თუ მენეჯმენტის მხრიდან რესურსების არასწორად გადანაწილებასთან გვაქვს საქმე, ეს ყველაფერი უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს.

ამრიგად, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზისთვის მხოლოდ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია საკმარისი არაა რეალური სიტუაციის ობიექტური შეფასებისთვის, ზუსტი დიაგნოსტიკისა და დასკვნების გაკეთებისთვის საჭიროა საქმიანობის სხვადასხვა სახეების მიხედვით დეტალური, სიღრმისეული ანალიზი, რათა დროულად იქნეს მიღებული სწორი, რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილებები, რომლებიც შემდგომ ასახვას ჰპოვებს კომპანიის წარმატებაზე.

დანართი

დანართი-შპს „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	5.1.	1369053	1290498
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5.21.	1494065	1099888
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	5.4.	254563	1989808
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5.9.	907168	468876
გაცემული სესხები	5.22.	3700	0
საგადასახადო აქტივი		695025	42051
სხვა მიმდინარე აქტივი		300867	212827
სულ მიმდინარე აქტივები		5024441	5103947
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში			
საინვესტიციო ქონება	5.8.	6293161	6363040
ძირითადი საშუალებები	5.17.	11495572	7552009
არამატერიალური აქტივები	5.19.	33639	33639
გადავადებული საგადასახადო აქტივი	5.23.	339781	339781
სულ გრძელვადიანი აქტივები		18162153	14288470
		23186595	19392417
სულ აქტივები			
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	5.24.	1306821	385445
მიღებული ავანსები		800	300
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	5.25.1.	281056	44167
თანამშრომლების მიმართ არსებული ვალდებულებები (გადასახდელი ხელფასები)	5.25.2	67484	57996
სულ მიმდინარე ვალდებულება		1656161	487909
გრძელვადიანი ვალდებულება			
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5.26.	85000	51000
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5.20.	2024978	2186436
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		2109978	2237436
სულ ვალდებულება		3766139	2725344

დანართი-შპს „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118) სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „იფელი“ (საიდენტიფიკაციო 200179118)			
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
დასახელება	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	6.8.1.	33 164 727	27 656 574
არასაოპერაციო შემოსავალი	6.8.2.	422 683	354 513
სულ შემოსავალი		33 587 410	28 011 087
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6.8.3.	- 17 361 112	- 13 473 536
რეკლამა და მარკეტინგი	6.8.4.	- 2 197 929	- 730 714
მიწოდების დანახარჯები	6.8.5.	- 976 417	- 557 123
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო	6.8.6.	- 6 245 099	- 5 520 767
ცვტა და ამორტიზაცია	6.8.7.	- 1 745 390	- 1 179 159
აქტივების გაუფასურება	6.8.8.	- 156 406	- 149 938
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	6.8.9.]	- 1 002 645	- 949 899
ფინანსური დანახარჯები	6.8.10.	- 168 544	- 86 072
მიმდინარე პერიოდის მოგება		3 733 868	5 363 879
მოგების გადასახადი		- 21 854	- 37 896
გაუნაწილებელი მოგება		3 712 014	5 325 983
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		12 277 706	7 901 154
დივიდენდი	-	958 632	949 432
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		15 031 088	12 277 705

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 20 სექტემბერს: შპს-ის „იფელი“, (საიდენტიფიკაციო 200179118)

დანართი-შპს „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	2018 წელი	2017 წელი
საოპერაციო საქმიანობა		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	37 300 785	31 656 104
ოჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები	1 165 360	496 829
მიღებული აგვისებები	5 968	4 390
გადახდილი თანხების უკან დაბრუნება	53 277	54 447
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	38 525 389	32 211 769
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(26 111 730)	(17 690 064)
პრომის ანაზღაურება	(4 940 659)	(5 520 839)
მივლინება	(10 233)	(12 391)
გადახდილი გადასახადები	(3 566 589)	(2 625 234)
ანგარიშგაღებულ პირზე გაცემული თანხები	(277 617)	(62 898)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4 484)	(8 663)
იმპორტის გადასახადი	-	(6 378)
შედეგით გადახდილი თანხები	(10 184)	(5 670)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3 603 893	6 779 633
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	102 213	62 559
შეიღობილი საწარმოს შერწყმით	-	228 626
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	102 213	291 185
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(2 472 099)	(7 041 057)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(2 369 886)	(6 749 872)
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	1 251 500	5 636 520
საპროცენტო შემოსავალი	101 395	117 041
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	740	-
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	1 353 635	5 753 561
დივიდენდების გადახდა	(910 700)	(901 960)
სესხის ძირის და პროცენტის გადახდა	(1 570 894)	(3 518 278)
საბანკო ხარჯები/საკომისიოები	(8 003)	(14 148)
საგარანტიო ანარიცხები	(8 200)	-
სხვა ფინანსური ხარჯები	(3 114)	-
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1 147 277)	1 319 175
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	86 730	848 936
სავალუტო კურსის ეფექტი	(8 176)	-
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	1 290 498	443 899
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	1 369 053	1 290 498

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 20 სექტემბერს: შპს-ის „იფელი“, (საიდენტიფიკაციო 200179118)

შპს „იფქლის“ ბალანსის მუხლების დინამიკა

მაჩვენებლები	საბაზისო	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
	2015 წ	ლარი	ლარი	ლარი
მიმდინარე აქტივები ფულადი სახსრები	906,099	443,899	1,290,498	1,369,053
მოთხოვნები	506,733	620,534	1,099,888	1,494,065
გადახდილი ავანსი	208,488	89,137	1,989,808	254,563
მატერ.ფასეულობები	733,572	543,263	468,876	907,168
გაცემული სესხები	0	0	0	3,700
საგადასახადო აქტივი	264,670	152,128	42,051	695,025
სხვა მიმდ.აქტივი	213,808	287,086	212,827	300,867
სულ მიმდ.აქტივი	2,833,370	2,136,047	5,103,948	5,024,441
გრძელვადიანი აქტივი საინვესტიციო ქონება	156,640	153,538	6,363,040	6,293,161
ძირით. საშუალებები	6,769,238	6,714,520	7,552,009	11,495,572
არამატერ. აქტივი	33,233	33,233	33,639	33,639
გადავ.საგად.აქტივი	362,221	339,781	339,781	339,781
სულ გრძელ.აქტივი	7,321,332	7,241,072	14,288,469	18,162,153
სულ აქტივები	<u>10,154,702</u>	<u>9,377,119</u>	<u>19,392,417</u>	<u>23,186,594</u>
მიმდინ.ვალდებულება სავაჭრო ვალდებ.	381,249	185,182	385,445	1,306,821
მიღებული ავანსები	1,695	1,695	300	800
მიმდ.საგად.ვალდებ.	0	0	44,167	281,056
გადასახდელი ხელფ.	81,916	280,545	57,996	67,484

სულ მიმდ.ვალდებ.	464,860	467,422	487,908	1,656,161
გრძლ.ვალდებულებები სხვა ფინანს.ვალდებ.	0	15,600	51,000	85,000
გრძელ.სასესხ.ვალდ.	3,291,284	0	2,186,436	2,024,978
სულ გრძელ.ვალდ.	3,291,284	15,600	2,237,436	2,109,978
სულ ვალდებულება	<u>3,756,144</u>	<u>483,022</u>	<u>2,725,344</u>	<u>3,766,139</u>
საკუთარი კაპიტალი სააქციო კაპიტალი	757,140	757,140	4,153,565	4,153,565
გაუნაწილ. მოგება	5,405,615	7,901,154	12,277,705	15,031,087
სხვა რეზერვები	235,803	235,803	235,803	235,803
სულ საკუთ.კაპიტალ	6,398,558	8,894,097	16,667,073	19,420,455
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი სულ	<u>10,154,702</u>	<u>9,377,119</u>	<u>19,392,417</u>	<u>23,186,594</u>

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბურდული ფ., (2000). ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები. თბილისი.
2. ბასს 2 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, თბილისი 2018.
3. ბასს 16 ძირითადი საშუალებები, თბილისი 2018.
4. კვატაშიძე ნ., ა. ხორავა და ზ. გოგრიჭიანი. ფინანსური ანგარიშგება. (მე-2 გამოცემა).
5. ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში, დისერტაცია, ანა ჩეჩელაშვილი.
6. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საკითხები სააქციო საზოგადოება „თელიანი ველის“ მაგალითზე, დისერტაცია, შოთა შუბითიძე.
7. ჭილაძე, ი. (2018). ფინანსური ანალიზი. თბილისი.
8. ჭილაძე, ი. (2010). მმართველობითი აღრიცხვა. თბილისი. მერიდიანი.
9. ჯიქია, მ., რ. ჩეჩელაშვილი და ფ. ბურდული. (2011). ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. მერიდიანი.
10. ხარაბაძე, ე. (2018). ფინანსური აღრიცხვა (მე-2 დონე). თბილისი
11. ანგარიშგების პორტალი. <https://reportal.ge/BannersMenu/Detailed-search-for-reports.aspx>.